მეგი გოლანძია,14 წლის.

სკოლა: ქალაქ თბილისის 143-ე საჯარო სკოლა,8/4 კლასი.

,,წერილი ევროპელ თანატოლს დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე''

ძვირფასო მეგობარო! იმედია კარგად ხარ და წარმატებულად აგრძელებ სწავლას.მინდა გაგიზიარო ჩემი ქვეყნის საქართველოს გამოცდილება და ფიქრები იმ გზაზე,რომელიც დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე მიგვყავს.საქართველო პატარა,მაგრამ სულიერად დიდი ქვეყანაა.ჩვენ დავიბრუნეთ დამოუკიდებლობა საბჭოთა კავშირისგან და მას შემდეგ ვცდილობთ,ავაშენოთ თავისუფალი,დემოკრატიულ;ი და სამართლებრივი სახელმწიფო.თუმცა მივხვდით,რომ დამოუკიდებლობა მხოლოდ დასაწყისია თავისუფლებისკენ სვლა ბევრად რთული და გრძელი პროცესია.თავისუფლება მხოლოდ ეროვნული დამოუკიდებლობა კი არ არის,არამედ ადამიანის პიროვნული თავისუფლებაც,აზრის გამოხატვის უფლება.ჩვენთვის ეს ნიშნავს განათლებაზე თანაბარ წვდომას,სამართლიან არჩევნებს,კანონის უზენაესობას და პლურალიზმს.ბევრ გამოწვევასთან გვიწევს გამკლავება-ეკონომიკური სირთულეები,პოლიტიკური დაძაბულობა,ზოგჯერ კი გადაულახავი ცდუნება ძველი მეთოდებისკენ დაბრუნებისა.მაგრამ მაინც გვწამს,რომ თავისუფლება არა მხოლოდ უფლებაა,არამედ პასუხისმგებლობაც და თითოეულ ჩვენგანს თავისი წვლილი შეაქვს ამ გზაზე.თქვენს ქვეყნებში თავისუფლება თითქოს ბუნებრივად მიღწეული ჩანს,მაგრამ ჩვენთვის ის დღემდე მიზანი და ყოველდღიური შრომის საგანია.ევროპასთამ დაახლოება ჩვენთვის დიდი იმედია,რომ ერთ დღეს საერთო ოჯახში ღირსეულად დავიკავებთ ჩვენს ადგილს.მე შენ გწერ საქართველოდან-ერთი პატარა მთაგორიანი,სითბოთი სავსე ქვეყნიდან,სადაც ხალხს დამოუკიდებლობის იმედი არაერთხელ დაუკარგავს,მაგრამ არასდროს დავიწყებია მისი ფასი.ჩვენი ისტორია რთულია სავსე ომებით,დაპირისპირებებით,ბრძოლის ხმაურით,დაკარგული ოკუპირებული ტერიტორიებით და დაპირებებით.1991 წელს,როდესაც დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ,თითქოს შვებით ამოვისუნთქეთ,თითქოს ყველაფერი დაწყებული იყო თავიდან.მაგრამ მალევე მივხვდით,რომ დამოუკიდებლობა საკმარისი არ არის.ევროპულ ფასეულობებთან სიახლოვე ჩვენთვის

მხოლოდ პოლიტიკა არ არის-ეს ჩვენი სურვილია ვიყოთ ერთიანი,ღირსეული საზოგადოების ნაწილი,სადაც ადამიანი მნიშვნელოვანია.დღესაც ამ მიზნისკენ მივდივართ-ზოგჯერ ნელა,ზოგჯერ სწრაფად,მაგრამ სანდო რწმენით,რომ ღირს ბრძოლა.საქართველო არის ქვეყანა,რომელიც საუკუნეების განმავლობაში საკუთარი თვისუფლებისა და იდენტობის დასაცავად იბრძოდა.ჩვენ არაერთხელ დავკარგეთ სახელმწიფროებრივი დამოუკიდებლობა,მაგრამ არ დაგვიკარგავს იმედი.თავისუფლებისკენ სვლა რთული და ხშირშემთხვევაში მტკივნეული აღმოჩნდა.90-იან წლებში საქართველოში მძიმე ეკონომიკური კრიზისი,ომები(მათ შორის,აფხაზეთსა და სამაჩაბლოში),პოლიტიკური არასტაბილურობა და შიდა კონფლიქტები და დაპირისპირებები იყო.დღეს საქართველო დემოკრატიული განვითარების ბაზაზეა.გვაქს თავისუფალი მედია,პლურალისტური საზოგადოება და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის სურვილი.ახალგაზრდები სულ უფრო მეტად ვართ ჩართული საზოგადოებრივ პროცესში და გვჯერა,რომ სწორედ განათლება,თავისუფალი აზროვნება და ინოვაციური ხედვა იქნება ის ძალა,რაც გვაძლიერებს.დამოუკიდებლობა ნიშნავს სახელმწიფროებრივ სუვერენიტეტს,ხოლო თავისუფლება ადამიანის პირად უფლებებსა და ღირსებას.ქვეყანა შეიძლება იყოს დამოუკიდებელი,მაგრამ თუ მასში ვერ ვითარდება დემოკრატია,კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები,მაშინ თავისუფლება მხოლოდ ფორმალურია.თავისუფლებამ რეალურად განვითარება დაიწყო მაშინ,როცა გაძლიერდა სამოქალაქო საზოგადოება და დამოუკიდებელი მედია.ბოლო წლებში საქართველოში გაიზარდა ახალგაზრდების ჩართულობა,გაძლიერდა არაკომერციული ორგანზაციები და გაჩნდა თავისუფალი სიტყვა.ეს ყველაფერი აჩვენებს,რომ თავისუფლება ეს აქტიური მოქალაქეების დამსახურებაა და არა მხოლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილებების შედეგი.ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება ეს ევროინტეგრაციისკენ სწრაფვა სწორედ იმ ღირებულებების არჩევაა,როგორიცაა კანონის უზენაესობა,ადამიანის უფლებები და თანასწორობა.ჩვენ ვისწავლეთ,რომ თავისუფლება ნიშნავს არა მარტო ქვეყნის დამოუკიდებლობას ,არამედ მოქალაქის უფლებას იცხოვროს ღირსეულად,გამოხატოს თავისი აზრი,აირჩიოს მომავალი და ჰქონდეს ხმა.ევროპა ჩვენთვის არ არის მხოლოდ და მხოლოდ გეოგრაფიული მიმართულება - ის არის მიზანი,რომლისკენაც მივისწრაფვით საერთო ღირებულებების გამო:ჰუმანიზმი,ტოლერანტობა,მშვიდობა და თავისუფლება.საქართველოში ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება დემოკრატიის განმტკიცება და თავისუფლების დაცვა.პოლიტიკური პოლარიზაცია,მედიის მიმართ ზეწოლა და საზოგადოებაში არსებული დაპირისპირებები მიუთითებს,რომ თავისუფლება დაუცველი რჩება.თავისუფლება არ არის მიზანი ის არის პროცესი.ეს ნიშნავს მუდმივ განვითარებას,კითხვებს,თვითკრიტიკას და სწავლის სურვილს,ისევე,როგორც ევროპული სახელმწიფოები გადიან უწყვეტ ევოლუციას,საქართველოშიც ეს პროცესშიც და ეს ბუნებრივია.ახალი თაობა მეტს საუბრობს ტოლერანტობაზე,თანასწორობაზე და გარემოს დაცვაზე.თავისუფლებაზე

საუბრისას,უნდა გავიხსენოთ,რომ საქართველო ბევრჯერ ყოფილა უცხო ქვეყნების ბატონობის ქვეშ,მაგრამ ჩვენს ხალხს არასდროს დაუკარგავს თავისუფლების სიყვარული.სწორედ ეს მახასიათებელია დღესაც ჩვენს საზოგადოებას-დამოუკიდებლობის,ღირსების და სუვერენიეტეტის დაცვა.მე და შენ,როგორც ახალგაზრდა ევროპელები,სხვადასხვა ქვეყნიდან,შეგვიძლია ერთად ვიფიქროთ იმაზე,როგორ გავხადოთ ჩვენი მომავალი უფრო სამართლიანი,თავისუფალი და ადამიანური.ჩვენი ხმა,ჩვენი სოლიდარობა და განათლება ყველაზე ძლიერი იარაღია.იმედი მაქვს,ერთ დღესაც შევხვდებით თავისუფალ საქართველოში

,,A letter to a European Peer: From independence to Freedom''

Dear friend! I hope you are well and continue your studies successfully. I want to share with you the experience and thoughts of my country, Georgia, on the road that leads us from independence to freedom. Georgia is a small but spiritually big country. We regained our independence from the Soviet Union and since then we have been trying to build a free ,democratic and legal state., It is a process. Freedom is not only national independence, but also the personal freedom of a person, the right to express an opinion. For us, this means equal access to education ,fair elections, the rule of law and pluralism. We have to deal with many challenges-economic difficulties, political tension, and sometimes even an insurmountable temptation to return to the old ways. But we still believe that freedom is not only a right, but also a responsibility ,and each one of contributes to this path. In your countries, freedom seems to be achieved naturally ,but for us it is still a goal and a subject of daily work. Getting closer to Europe is a great hope for us, that one day we will take our place in the common family with dignity. We have not lost it, but we have never forgotten its price. Our history is complicated, full of wars, confrontations, the noise of battle, lost occupied territories and promises. In 1991, when we gained independence, it was as if we breathed a sigh of relief, as is everything had started anew. But soon we realized that independence is not enough. Closeness to European values is only politics for us. It is not it is our desire to be a part of a united, dignified society, where people are poor. Even today, we are moving towards this goal-sometimes slowly, sometimes quickly, but with the reliable belief that is worth the fight. Georgia is a country that has been fighting for the protection of its right and identity for

centuries. We have repeatedly lost our state independence, but we have not lost hope. Im many cases, it turned out to be painful. In the 90s, Georgia had a severe economic crisis, wars(including in Abkhazia and Samachablo), political instability and internal conflicts and confrontations. Today, Georgia is on the basis of democratic development. We have a free media pluralistic society and a desire to integrate into Euro-Atlantic structures. Young people are increasingly involved in the social process and we believe that us is education, free thinking and innovative vision that will be the force that strengthens us. Independence means state sovereignty, and freedom means personal rights and dignity of a person. A country can be independent , but is democraty,rule of law and human rights cannot develop in it, then freedom is only formal. Freedom actually started to develop when civil society and independent Media. In recert years, the involvement of young people has increased in Georgian, non-profit organizations have strengthened and free speech has emerged. All this shows that freedom is the merit of active citizens and not only the result of political decisions. The association agreement with the European Union, this striving for European integration is the choice of those values, such as the rule of law, human rights and equality. We have learned that freedom means noy only the country independence, but the citizens right to live with dignity, express his opinion , choose the future and have a voice. For us, Europe is noy only a geographical direction it is a goal to which we strive for common values .Reason: humanism, tolerance, peace and freedom .Strengthening democracy and protecting freedom is still a challenge in Georgia. Political polarization ,pressure on the media and conflicts in society indicate that freedom remains vulnerable. Freedom is not a goal ,it is a process. It is natural. The new generation talks more about tolerance, equality, and environmental protection. Speaking about freedom ,we must remember that Georgia has been under the rule of foreign countries many times, but our people have never lost their love of freedom. This is the characteristic of our society today-protection of independence ,dignity and sovereignty. You and I, as young Europeans from different countries, can think together about how to make our future is fairer, freer and more humane. Our voice , our solidarity and education are the most powerful weapons. I hope that one day we will meet in a free and peaceful United Europe-a space where everyone has their place and dignity. The Georgian people know that Georgia's path is to Europe!

/Megi Golandzia/